ჟაკლინ პარსელი გახლავთ მრავალი ჯილდოს მფლობელი, მაღალი დონის სპიკერი და ტრენერი, რომელიც სპეციალიზირდება ლიდერობის, თავდაჯერებულობისა და ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით უნარების გაძლიერებაში. პარსელს სხვადასხვა სექტორის მსოფლიო დონის პროექტებთან დაკავშირებით უთანამშრომლია სახელმწიფოთა მეთაურებთან და გაეროს სააგენტოებთან.

ჟაკლინ პარსელი ფლობს მაგისტრის ხარისხს განათლებისა და კვლევის მიმართულებით. ის არის საზოგადოებასთან ურთიერთობის საერთაშორისო ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, IPRA-ს ყოველწლიური Golden World Awards-ის ჟიური და Jasper Alliance London-ის აღმასრულებელი დირექტორი.

ერაყში პირველი საჯარო გამოსვლის აკადემიის დაარსებისთვის, პარსელს 2015 წელს მიენიჭა ბრიტანული კვალიფიკაციის ჯილდო გამოჩენილი საერთაშორისო ლიდერობისთვის. 2021 წელს ჯაკლინ პარსელს აგრეთვე მიენიჭა IPRA Golden World და PRO PR Globe-ის ჯილდოები.